ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 97

6 ნოემბერი 2020 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ (11-01203072832 საკრ#15-032030753-03)

2. ინფორმაცია -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში. 12-032030429-03

3. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-032030810-03

4. "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მიკრო/რაიონი I, N1 კორპუსში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.009.003.01.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-032030810-03

5. "ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა, კორპუს N6ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.016.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-032030810-03

6. "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში(საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

12-032030755-03

7. "ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N104-ში(საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-032030755-03

8. „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი N22, კორპუსი N3-ში და N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.021 და N01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "12-032030755-03

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: (11-01203072832) ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე

მომხსენებლის განმარტებით ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით „ტრანსპლანტაციის" პროგრამას ემატება 1 300 000 ლარი, ხოლო „დაავადებათა სკრინინგის" პროგრამას 350 000 ლარი. „შსს ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება" იზრდება 100 000 ლარით. აღნიშნული ასიგნებები იზრდება „ კომუნალური სუბსიდირების" და „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებით დაფინანსების" პროგრამებში არსებული რესურსის ხარჯზე. როგორც მატება, ასევე კლება განპირობებულია ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილების გამო.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის **შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის თქმით ,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების ღონისძიებების აღწერის, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.
2020 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 220,669.0 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 694,159.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 601,099.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 86,6%.

შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 9 თვის გეგმა 662,843.9 ათასი ლარი, ფაქტიურად 573,754.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 86.6% და ფაქტიური შემოსულობების 95.5% შეადგინა.

<u>გადასახადების სახით</u> ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 417,119.1 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით (2019 წლის 9 თვის ფაქტი – 538,218.5 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 121,099.4 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც გამოწვეულია ახალი კორონა ვირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუარესების შედეგად განახლებული პროგნოზი) საგადასახადო შემოსავლების დანაკლისით[1]. მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად მიღებულია 306,456.6 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 362,598.8 ათასი ლარი) შედარებით 56,142.2 ათასი ლარით ნაკლებია. ქონების გადასახადიდან მობილიზებულია 110,662.6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 108,205.3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 719.1 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,738.1 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 175,619.7 ათასი ლარი) შედარებით 64,957.1 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2019 წლის 9 თვეში მიღებულია 173,321.0 ათასი ლარი).

<u>გრანტები</u> საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 48,896.2 ათასი ლარი (გეგმის 110.8%), მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები მიღებულია 278.1 ათასი ლარი სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 48,618.1 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 344.7 ათასი ლარი, გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან და ა(ა)იპ(ებ)-დან - 3,000.0 ათასი ლარი (სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკუთარი სახსრების ნაწილში სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის ჩარიცხვა ბიუჯეტში) სპეციალური ტრანსფერი – 37,504.1 ათასი ლარი,

<u>სხვა შემოსავლები</u> საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 135,802.1 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 107,739.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 79.3%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (9 თვის ფაქტი – 172,782.0 ათასი ლარი) შედარებით 65,042.8 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17,052.8 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (7,978.5 ათასი ლარი) შედარებით 9,074.3 ათასი ლარით მეტია.

დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 70.0 ათასი ლარი. (მათ შორის: შპს „წყნეთის საექიმო ამბულატორია - 3.0 ათასი ლარი, ჰერმესი – 60.2 ათასი ლარი და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შპს ქ.თბილისის N19 მოზრდილთა პოლიკლინიკის ანგარიშიდან ამოღებული თანხა - 6.8 ათასი ლარი). რენტის სახით მობილიზებულია 2,916.2 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1,390.9 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,525.4 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 49,838.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (83,749.7 ათასი ლარი) 59.5%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 8,923.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (8,500.0 ათასი ლარი) 105%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 8,394.6 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 528.8 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებლის აკუმულირების მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (10,231.2 ათასი ლარი) მიმართებაში შემცირებულია 1,307.9 ათასი ლარით, რაც ძირითადათ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელზე მოდის.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3,958.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (35,000.0 ათასი ლარი) 11.3%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (53,235.0 ათასი ლარი) შედარებით 49,276.2 ათასი ლარით ნაკლებია[2]. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 355.1 ათასი ლარი (9%), სამორინეს მაგიდიდან - 28.0 ათასი ლარი (1%),ხოლო დარჩენილი - 3,575.7 ათასი ლარი (90%) ნაწილდება წამახალისებელ გათამაშებებზე და სხვა სახის ობიექტებზე:

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 33,373.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 35,000.0 ათასი ლარის 95.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (35,803.3 ათასი ლარი) შედარებით 2,429.7 ათასი ლარით ნაკლებია[3].

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 14.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (27.0 ათასი ლარი) 53.4%-ია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 3,445.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,000.0 ათასი ლარი) 68.9%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (7,833.1 ათასი ლარი) შედარებით 4,387.2 ათასი ლარით ნაკლებია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 745.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (208.0 ათასი ლარი) 358.5%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი,

ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 738.2 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 7.5 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 33,313.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (30,000.0 ათასი ლარი) 111%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (43,776.7 ათასი ლარი) შედარებით 10,462.8 ათასი ლარით ნაკლებია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 21,910.5 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 2,213.4 ათასი ლარი, არქიტექტურულსამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 3,217.0 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 476.2 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 431.0 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 403.5 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 229.3 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 4,432.9 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 27,248.3 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: 3,043.5 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 239.4 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 23,965.4 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების კლებიდან საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 94.5 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება).

2020 წლის 9 თვეში გადასახდელების შესრულების 85%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით მეტია, 2019 წლის 9 თვესთან შედარებით დახარჯულია 75,015.3 ათასი ლარით მეტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 181,919.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (198,220.2 ათასი ლარი) 91.8%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 137,925.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (160,870.4 ათასი ლარი) 85.7%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 65,610.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (84,841.6 ათასი ლარი) 77.3%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1,209.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,416.1 ათასი ლარი) 50.1%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 25,038.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (25,624.0 ათასი ლარი) 97.7%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 99,331.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (117,440.5 ათასი ლარი) 84.6%-ია;

განათლება - 104,828.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (122,674.7 ათასი ლარი) 85.4%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 17,483.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (29,467.4 ათასი ლარი) 59.3%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3,263.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,955.3 ათასი ლარი) 82.5%-ია;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 66,773.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (78,267.6 ათასი ლარი) 85.3%-ია.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 9 თვის შესრულების შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინათ ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

ირაკლი თავართქილაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 15 პირს, (15 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, საერთო ჯამში გადაეცემათ 590.41 კვ.მ.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, შსს ცნობით დგინდება, რომ მითითებული მოქალაქეები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ ოჯახებთან ერთად 2000 წლიდან.
ასევე წარმოდგენილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „აფხაზეთის" კრების ოქმი, ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მიკრო/რაიონი I, N1 კორპუსში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.009.003.01.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის წერილით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მიკრო/რაიონი I, კორპუსი 1-ში არსებული ბინა N29-ის ფართით 45.00 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.19.27.009.003.01.029) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით მოქალაქე ელა ტატევოზიანისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობაზე დართული ზეპირი გასაუბრების ოქმებით დასტურდება, რომ ელა ტატევოზიანი დაახლოებით 15 წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ხოლო მეზობლების ჩვენებით დასტურდება, რომ ელა ტატევოზიანის ოჯახი (თავად, მეუღლე, ორი შვილი და დედამთილი) 2004 წლის მარტიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ელა ტატევოზიანს გადაეცემა 45.00 კვ.მ. ფართი.

მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა, კორპუს N6ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.016.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის წერილით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი 6ა-ში არსებული ბინა N23-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.016.01.023) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით მოქალაქე ნატო მჭედლიძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით და მოწმეთა ჩვენებით დასტურდება, რომ ნატო მჭედლიძე 2003 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნულ პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 20.00 კვ.მ. ფართი.
მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში(საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში, პირველ სართულზე, ბინა N1-ში მდებარე 79.19 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, გადაეცემა მოქალაქე მარინე ცუცუნაშვილის საკუთრებაში.
ირაკლი თავართქიაძემ აღნიშნა, რომ მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში ფლობს და სარგებელობს ამ ფართით.
მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N104-ში(საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო /რაიონის, კორპუსი N17ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 83.58 კვ.მ ფართი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.012.01.539) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით მოქალაქე მარინა ცუცქირიძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია შსს-ს და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სიხარული 2009"-ის კრების ოქმი, რომლის მიხედვითაც მარინა ცუცქირიძე ოჯახთან ერთად ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1998 წლიდან.

მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის N20.1275.1580 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარე ქალაქ თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში, (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ამავე განკარგულების დანართი N1-ით მოცემულ პირებს (69 ოჯახი, საერთო ჯამში 2 893,20 კვ.მ ფართი)

მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა, N104-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულების პროექტი, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N104-ში, პირველ სართულზე მდებარე 109.16 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ზაზა ბოჭორიშვილისათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით.
მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქუჩა მარუაშვილი, N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.010)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, ქუჩა მარუაშვილი, N50-ში, მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს.(საერთო ჯამში 156,34 კვმ საცხოვრებელი ფართი).
ეს ოჯახები დიდი ხანია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.128.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. N13-ში, მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.128.039) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს.(საერთო ჯამში 470,96 კვმ საცხოვრებელი ფართი).
ეს ოჯახები დიდი ხანია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.013.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N22-ში, მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.11.12.013.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 7 ოჯახს (საერთო ჯამში 391,80კვმ საცხოვრებელი ფართი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 ოქტომბრის N20.1251.1547 განკარგულება)
ეს ოჯახები დიდი ხანია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში, მდებარე უძრავი ქონება საერთო ჯამში 233,97 კვმ საცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს ჰქონდათ შეკითხვები.

შეკითხვებზე განმარტებების შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 131,18 კვმ საცხოვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს.

ეს ოჯახები დიდი ხანია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ 2018 წელს „შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრს დიოსკურია"(ს/კ:200209844) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაეცა, ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში მდებარე (ს/კ:01.11.05.035.010) გარკვეული უძრავი ქონება. ეს ვადა იწურება და ამჟამად წარმოდგენილია განსახილველად საკითხი, სამედიცინო ცენტრისათვის უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემაზე.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო, როგორც შპს „ზ. ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიას" პარტნიორი და 100%-იანი წილის განმკარგავი, თანახმაა აღნიშნული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტით 2 წლის ვადით,სამედიცინო ცენტრისათვის გადაცემაზე , მაგრამ კომპანიამ წილის შედეგების შესაბამისად უნდა მოახდინოს საწარმოს მოგების სრული რეინვესტირება საწარმოს მიზნებისათვის.

მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია